ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ს.ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" ტელ: 599-94-00-05

საფუძველი: 23.07.2013 წ. №12/1320421-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი-ვაკე, ნუცუბიძის ქ. №60

საკ.კოდი: №01.14.03.007.002

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 06.04.2011წ. №01/682; 06.04.2011 წ. №6/722-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ფუნქციური დანიშნულება: არსებული ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (29.07.2013) დადგინდა:

დარღვევები:

შენობის ქვეშ ამოღებულია გრუნტი და დამატებით შექმნილია 3 მ სიმაღლის 43 კვ.მ შიდა ფართი ,,ბ-გ" მონაკვეთში კარით, მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობლით და გარე კიბეებით, ხოლო ,,3-1" ფასადის მხრიდან 2 ფრამუგით.

+0.00 ნიშნულზე გაზრდილია შენობის სიგრძე 0.5 მ-ით, ხოლო სიგანე შემცირებულია 0.9 მ-ით. **,,3-3" ღერძის გარეთ მოწყობილია მოაჯირები და განთავსებულია გენერატორი, რომლებიც ცდება ზითელ ხაზს.** ,,ა-ბ" და ,,გ-ბ" მონაკვეთებში გაუქმებულია ფანჯრები. ,,გ-გ" ღერძთან მოწყობილია წყალშემკრები მილი. ,,3-1" ფასადის მხარეს მოწყობილია ფრამუგა, საჰაერო ღიობი, 2 კონდიციონერი და წყალშემკრები მილები. შეცვლილია საწვავის მარიგებელი სვეტების გაბარიტები და მდებარეობები და მათ ძირებზე მოწყობილია ბაქნები. აღნიშნულ სვეტებთან მოწყობილია ლითონის დამცავი ჯებირები. არსებული კაპიტალური ღობე და ,,B-A" მონაკვეთში არსებული ფასების მაჩვენებელი დაფა არ შეესაბამება პროექტში მითითებულს. **აღნიშნული დაფა ცდება ციოელ ხაზს.** ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მეხამრიდი და საწვავის ავზების სასუნთქ-სავენტილაციო მილები.

,,1-3" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე. ,,1-2" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიგანე 0.25 მ-ით, ხოლო სიგანე გაზრდილია ორივე ვიტრაჟის 0.2 მ-ით და შეცვლილია მათი ნახატი. ვიტრაჟების ძირში შექმნილია კაპიტალური კუთხე და და კიბის საფეხური. გაზრდილია ფარდულის სიმაღლე 0.4 მ-ით და გაზრდილია ვინილის სიმაღლე 0.2 მ-ით. შეცვლილია ფარდულის ფორმა, მოპირკეთება და ფარდულზე სარეკლამო სტენდის მდებარეობა.

შეამოწმა: დ.მანჯგალაძე